წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

N 47 10 10/09/2015

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე წალკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული ოთახების სარემონტო სამუშაოებისთვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად და წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-15 პუნქტის გათვალისწინებით:

1. მუნიციპალიტეტის გამართულად ფუნქციონირებისათვის გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე წალკის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს უფლება წალკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული ოთახების სარემონტო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვებისათვის აუცილებელი ხელშეკრულებების მომზადების და 12000 ლარის გამოყოფის.
2. განკარგულება ძალაშია ხელისმოწერისთანავე.
3. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

ი. გიგინეიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე